



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №22
2017 წლის 10 ნოემბერი
ქ. სენაკი

სს „ლიბერთი ბანკი“-სათვის სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების
სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის შესახებ

მუნიციპალიტეტის გამგეობას მომართა (28.09.01/4459) სს „ლიბერთი ბანკმა“ და ითხოვს სენაკის
მუნიციპალიტეტში: ახალსოფლის (საკ. კოდი N44.13.21.330), თეკლათის (საკ. კოდი N44.03.27.310),
ნოსირის (საკ. კოდი N44.02.21.115), ლემამამეს (საკ. კოდი N44.07.21.155) და ძველი სენაკის (საკ. კოდი
N44.04.28.347) ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში არსებულ ფართზე
ლიბერთი ბანკის ცენტრების განთავსებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის
პირველი და მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის, სს „ლიბერთი ბანკის“ 28.09.2017წ. N01/4459 წერილის და
სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის 5.10.2017 წ. N01/3491მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას პირდაპირი განკარგვის წესით,
სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სს „ლიბერთი
ბანკს“ გადასცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ახალსოფლის, თეკლათის, ნოსირის,
ლემამამეს და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში თითო ოთახი, კერძოდ:
ახალსოფელში 13 კვ.მ ფართი (საკ. კოდი N44.13.21.330), თეკლათში - 10.5 კვ.მ (საკ. კოდი N44.03.27.310),
ნოსირში - 9 კვ.მ ფართი, (საკ. კოდი N44.02.21.115), ლემამამეში - 21 კვ.მ (საკ. კოდი N44.07.21.155) და ძველი
სენაკში - 16 კვ.მ ფართი (საკ. კოდი N44.04.28.347).

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ
სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. N247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ლაშქარავა